



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

G-PRIED

Georgia Primary Education Project
საერთაშორისო დახმებით განათლების პროექტი



სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა შეფასების სისტემა

გზამკვლევი სკოლის დირექტორებისთვის



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

G-PRIED

Georgia Primary Education Project
საქართველოს დასწავლითი განათლების პროექტი

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა შეფასების სისტემა

გზამკვლევი სკოლის დირექტორებისთვის

თბილისი
2015

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელი არის მისი შემდგენელი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს აზრს. ეს მასალა მომზადდა საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

შინაარსი

თავი 1. მასწავლებელთა შეფასების სისტემის მნიშვნელობა და მიზანი	3
1.1. რატომ არის მასწავლებლის შეფასება მნიშვნელოვანი?	3
1.2. მასწავლებელთა შეფასების სისტემის მთავარი პრინციპები	4
1.3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და მოლოდინები	5
1.4. მასწავლებლის შეფასების რუბრიკა	6
თავი 2. მასწავლებლის შეფასების პროცესის ძირითადი ეტაპები	8
2.1. შეფასების პროცესის ძირითადი ეტაპების მიმოხილვა	8
2.2. ორიენტაცია	8
2.3. დაგეგმვა და მიზნების შემუშავება	9
2.4. დაკვირვება და მონაცემების შეგროვება	9
2.5. მასწავლებლის თვითშეფასება	10
2.6. წლიური შეფასება	10
2.7. შემფასებლისა და მასწავლებლის მოვალეობები	11
თავი 3. მონაცემთა შეგროვების სტრატეგიები და ინსტრუმენტები	13
3.1. ძირითადი სტრატეგიების მიმოხილვა	13
3.2. გაკვეთილზე დაკვირვება და უკუკავშირი	13
3.3. დაკვირვება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებსა და სხვა პროფესიულ გარემოში	16
3.4. მასწავლებლის პორტფოლიოს ანალიზი	17
დანართები	19
დანართი 1. მასწავლებლის შეფასების რუბრიკა	19
დანართი 3. პროფესიული დაგეგმვისა და მიზნების შემუშავების ამსახველი ოქმის ფორმა	37
დანართი 4. მასწავლებლის თვითშეფასების ფორმა	38
დანართი 5. მასწავლებლის წლიური შეფასების ფორმა	40
დანართი 6. კითხვის სწავლება: გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა (I კლ.)	43
დანართი 7. კითხვის სწავლება: გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა (II -VI კლ.)	46
დანართი 8. მათემატიკის კონსტრუქტივისტულ-დიფერენცირებული სწავლება: დაკვირვების ფორმა (I -VI კლ.)	50
დანართი 9. გაკვეთილზე დაკვირვების ზოგადი ფორმა	54
დანართი 10. გაკვეთილზე დაკვირვების ზოგადი ფორმა დამხმარე შეკითხვებით	58
გამოყენებული ლიტერატურა	60

თავი 1. მასწავლებელთა შეფასების სისტემის მნიშვნელობა და მიზანი

1.1. რატომ არის მასწავლებლის შეფასება მნიშვნელოვანი?

განათლების სფეროში ჩატარებული არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ყველაზე დიდი გავლენა მოსწავლეთა მიღწევებზე აქვს მასწავლებელს. მის მიერ წარმართული სასწავლო პროცესი და სწავლისა და განვითარების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლეთა მომავალი ცხოვრების ტრაექტორიას. იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს მისი თითოეული მოსწავლის პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზება, აუცილებელია, მოსწავლეების მსგავსად, ყოველდღიურად ვითარდებოდეს. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიას, მისი საქმიანობის მონიტორინგსა და კონსტრუქციულ უკუკავშირს.

მასწავლებელთა შეფასების სისტემის უმთავრესი მიზანია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება მასწავლებლების უწყვეტი განვითარებისა და პროფესიული ზრდის საშუალებით. უწყვეტი განვითარება და პროფესიული ზრდა ითვალისწინებს მასწავლებლის საქმიანობის მონიტორინგს, გაანალიზებას, მონაცემებზე დაფუძნებული და ამომწურავი უკუკავშირის მიწოდებას.

მასწავლებლის შეფასების სისტემა სკოლისა და სწავლების ხარისხის მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან იგი ხელს უწყობს:

- სწავლა-სწავლების ხარისხსა და წარმატებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სკოლაში;
- მასწავლებლისთვის მისი საქმიანობის შესახებ მოლოდინების გაცნობას;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვას სკოლაში;
- მასწავლებლების ანგარიშვალდებულებისა და საკლასო ოთახში საკუთარ საქმიანობაზე, მოსწავლეების შედეგებზე პასუხისმგებლობის გაზრდას;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენას;
- მოსწავლეების შედეგებსა და მასწავლებლის პრაქტიკაზე პასუხისმგებლობის გაზიარებას შემფასებლის / შემფასებლებისა და მასწავლებლის მიერ.

მასწავლებელთა შეფასების სისტემის უპირველესი ბენეფიციარი არის მოსწავლე, რომელიც შედეგად მიიღებს უფრო ეფექტურ სასწავლო გარემოსა და გაუმჯობესებულ აკადემიურ შედეგებს. აღნიშნულ სისტემას მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე სკოლის დირექტორებისთვის.

ცხრილი 1. მასწავლებლის შეფასების სისტემის მნიშვნელობა

სარგებელი მასწავლებლებისთვის	სარგებელი სკოლის დირექტორებისთვის
ეფექტური, რეგულარული და კონსტრუქციული უკუკავშირი საკუთარ საქმიანობაზე;	სკოლის განვითარებისა და ხარისხის მართვის ეფექტური მექანიზმი;
რეგულარული რეფლექსია საკუთარ პრაქტიკაზე;	სწავლა-სწავლების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მოპოვება;
ადმინისტრაციის მხარდაჭერა პროფესიული განვითარების პროცესში;	ხარისხზე და მოსწავლეების წარმატებაზე ორიენტირებული ხედვის გაზიარება და დამკვიდრება სასკოლო საზოგადოებაში;
თანამშრომლობა და პროფესიული დიალოგი ადმინისტრაციასთან და კოლეგა-მასწავლებლებთან;	ინფორმირებული, მოსწავლეების ინტერესებზე ორიენტირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;
გაზრდილი პროფესიული კმაყოფილება;	პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების შესახებ ექსპერტიზის გაღრმავება;
გაზრდილი მოტივაცია;	
პროფესიული მიღწევების აღიარება ადმინისტრაციის მიერ.	გაზრდილი ანგარიშვალდებულება მასწავლებლების მხრიდან.

1.2. მასწავლებელთა შეფასების სისტემის მთავარი პრინციპები

მასწავლებელთა შეფასების სისტემა პედაგოგების ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს. თუმცა, არასწორად განხორციელების შემთხვევაში, მისმა არსებობამ შეიძლება არასასურველი შედეგები გამოიღოს და დააზარალოს სწავლა-სწავლების პროცესი. ქვემოთ გთავაზობთ მასწავლებელთა შეფასების სისტემის ეფექტურობის პრინციპებს:

- **სტანდარტი:** მასწავლებელთა შეფასების სისტემა უნდა ეფუძნებოდეს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და იძლეოდეს დახელოვნების სხვადასხვა დონეზე მყოფი მასწავლებლების იდენტიფიცირებისა და შეფასების შესაძლებლობას: როგორი მოლოდინები გვაქვს მასწავლებლის მიმართ? რას უნდა აკეთებდეს და რა უნდა შეეძლოს მასწავლებელს?
- **ინდიკატორები:** მასწავლებელთა შეფასების სისტემა უნდა ეფუძნებოდეს მკაფიოდ განსაზღვრულ მაჩვენებლებს ანუ ინდიკატორებს: კონკრეტულად რას აკეთებს მასწავლებელი პროფესიული საქმიანობის თითოეული მიმართულებით?
- **მოსწავლეზე ორიენტირება:** მასწავლებლის შეფასების დროს პედაგოგის საქმიანობასთან ერთად დაკვირვების ფოკუსს წარმოადგენს მოსწავლე. მასწავლებლის

ეფექტურობის შეფასებისას მნიშვნელოვანია, რომ შემფასებელმა ყურადღება მიაქციოს მასწავლებლის ქცევაზე მოსწავლის რეაგირებას: რას აკეთებენ მოსწავლეები მასწავლებლის ამა თუ იმ ქმედების შედეგად/საპასუხოდ?

- **მეთოდური კომპეტენტურობა:** შემფასებელი უნდა იყოს სათანადოდ კომპეტენტური სწავლებისა და შეფასების საკითხებში. იგი, ასევე, კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული შეფასების სისტემასა და პროცედურებში. ამასთანავე, მან უნდა იცოდეს, როგორ მისცეს მასწავლებელს პოზიტიური და კონსტრუქციული უკუკავშირი და დაეხმაროს მას პროფესიულ ზრდაში. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის დირექტორი, არ ფლობს საკმარის კომპეტენციას შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველა მიმართულებით, მას შეუძლია პროცესში ჩართოს კოლეგები (დირექტორის მოადგილე, კათედრის ხელმძღვანელი, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის ფასილიტატორი და სხვა);
- **უკუკავშირი:** შეფასების პროცესი უნდა მოიცავდეს მასწავლებლისთვის სასარგებლო, ღირებულ უკუკავშირს, რომელიც უკავშირდება მასწავლებლის მიზნებს, საჭიროებებსა და შესაბამისი პროფესიული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობას. პროფესიული განვითარების შესაძლებლობები უნდა მოიცავდეს როგორც პროფესიული განვითარების ფორმალურ ღონისძიებებს (ტრენინგები და სემინარები), ასევე სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების აქტივობებსა და მასწავლებელთა თანამშრომლობას;
- **მონაწილეობა:** მასწავლებელთა შეფასების პროცესში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ გამოცდილმა და ექსპერტმა მასწავლებლებმა. მათ შეუძლიათ დახმარება გაუწიონ სკოლის დირექტორებს მასწავლებლის პრაქტიკის ეფექტურობის შეფასებაში და ასევე კონკრეტული საგნობრივი და მეთოდური რეკომენდაციები მისცენ კოლეგებს უკუკავშირის ფარგლებში.

1.3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და მოლოდინები

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დოკუმენტი განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და ვალდებულებებს. მასწავლებლის სტანდარტის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. სტანდარტი არის მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის საფუძველი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის დირექტორმა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა შეფასების მიზნით გამოიყენოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების სტანდარტი. ქვემოთ წარმოდგენილია ის მოლოდინები მასწავლებლების მიმართ, რომლებიც შეესაბამება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და შესაძლებლობას მისცემს სკოლის დირექტორს შეაფასოს მასწავლებლის ყოველდღიური საქმიანობა.

I. სასწავლო პროცესის დაგეგმვა: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას სტანდარტის მიხედვით წლიური და თემატური სასწავლო გეგმების შემუშავებით, შესაბამისი გაკვეთილების დაგეგმვით და გაზომვადი სასწავლო მიზნების განსაზღვრით.

II. კლასის მართვა: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას უსაფრთხო, მოწესრიგებული და პატივისცემაზე დაფუძნებული საკლასო გარემოს შექმნით.

III. სწავლება: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას სწავლებით, რომელიც ეფუძნება მაღალ მოლოდინებს, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას და ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებს, ინტერესებსა და მზაობას.

IV. შეფასება: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას (ა) სტანდარტის შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების შექმნითა და ადმინისტრირებით; (ბ) მოსწავლეების შედეგების ანალიზით და ამ ინფორმაციის სწავლების გაუმჯობესების მიზნით გამოყენებით; (გ) მოსწავლეებისთვის სასარგებლო უკუკავშირის მიწოდებით.

V. ოჯახთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობა: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას მშობლებსა და საზოგადოებასთან ეფექტური თანამშრომლობით.

VI. პროფესიული ქცევა: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას ეთიკური, კულტურულად გათვითცნობიერებული, პროფესიული და თანამშრომლობითი პრაქტიკით.

1.4. მასწავლებლის შეფასების რუბრიკა

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში მასწავლებლის ეფექტურობის ხარისხი დგინდება მისი საქმიანობის შეფასებით. შეფასების ცალკე კომპონენტად მოცემულ ეტაპზე არ გამოიყოფა მოსწავლეთა შედეგები ან მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის მაჩვენებლები. თუმცა, როგორც ქვემოთ არის მოცემული, მასწავლებლის საქმიანობის შეფასების დროს რეკომენდებულია, რომ შემფასებელმა გაითვალისწინოს და გაანალიზოს მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შედეგები.

მასწავლებლის შეფასების რუბრიკა ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა შეფასდეს. მასში გაწერილია მასწავლებლის პრაქტიკა სხვადასხვა მიმართულებით პროფესიონალიზმის სხვადასხვა დონეზე. რუბრიკაში გაწერილი პროფესიული პრაქტიკა ანუ ინდიკატორები წარმოადგენს იმ ქმედებებს, რომლებსაც მასწავლებელი ყოველდღიურად ახორციელებს სკოლასა და საკლასო ოთახში. რადგანაც მასწავლებლების საქმიანობის ხარისხი თითოეული მიმართულებით დამოკიდებულია მის კვალფიკაციასა და დახელოვნების დონეზე, რუბრიკაში წარმოდგენილია მასწავლებლების მზაობის ოთხი დონე: (ა) ძალიან ეფექტური მასწავლებელი; (ბ) ეფექტური

მასწავლებელი; (გ) მასწავლებელი, რომელიც საჭიროებს პრაქტიკის გაუმჯობესებას; (დ) მასწავლებელი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს.

ცხრილი 2. მასწავლებლის შეფასების რუბრიკის დონეები	
შეფასების რუბრიკის დონეები	აღწერა
4 – ძალიან ეფექტური	მასწავლებელი განსაკუთრებულად მაღალ დონეზე ასრულებს სტანდარტის თითოეულ მოთხოვნას.
3 - ეფექტური	მასწავლებლის საქმიანობა აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და მოლოდინებს. ამ დონეზე მყოფ მასწავლებლებს შეუძლიათ კმაყოფილნი იყვნენ საკუთარი კვალიფიკაციითა და საქმიანობით.
2 – საჭიროებს გაუმჯობესებას	მასწავლებლის სწავლების პრაქტიკა საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რადგან ვერ აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნებს. მასწავლებელმა, რომლის საქმიანობაც შეესაბამება რუბრიკის ამ დონეს, უნდა იზრუნოს პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
1 – ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს	მასწავლებლის სწავლების პრაქტიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. მსგავსი პრაქტიკა მიუღებელია სკოლისთვის და საჭიროებს საქმიანობის გაუმჯობესების გეგმის ერთობლივად შემუშავებასა და მუდმივ მხარდაჭერას სასწავლო წლის განმავლობაში.


პირველ დანართში მოცემულია მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების რუბრიკა. რუბრიკაში კონკრეტულად არის გაწერილი მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის თითოეული მიმართულების შესაბამისი ინდიკატორები მასწავლებელთა ეფექტურობის სხვადასხვა დონეზე.

თავი 2. მასწავლებლის შეფასების პროცესის ძირითადი ეტაპები

2.1. შეფასების პროცესის ძირითადი ეტაპების მიმოხილვა

მასწავლებლის შეფასება ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია. პირველ ნახაზზე მოცემულია შეფასების პროცესის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ეტაპები. აღნიშნული ეტაპების სრულყოფილად და თანმიმდევრულად გავლა აუცილებელია შეფასების პროცესის ეფექტურად განხორციელებისთვის.

ნახაზი 1. მასწავლებლის შეფასების პროცესის ეტაპები



2.2. ორიენტაცია

მასწავლებელთა შეფასების სისტემის განხორციელებამდე სკოლის დირექტორმა უნდა გამართოს საორიენტაციო შეხვედრა და მასწავლებლებს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- მასწავლებლის შეფასების მიზანი და მთავარი პრინციპები;
- მოლოდინები მასწავლებლის საქმიანობის მიმართ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი);
- მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკა;
- მასწავლებლის შეფასების პროცედურები, სტრატეგიები და ინსტრუმენტები;
- სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის მოვალეობები მასწავლებელთა შეფასების პროცესში;
- მასწავლებლის შეფასების პროცესის განრიგი.

შეფასების სისტემისა და პროცესის შესახებ ინფორმაციის წინასწარ გაცნობა ხელს შეუწყობს მის ეფექტურად განხორციელებას. მასწავლებლებს სრული ინფორმაცია ექნებათ იმის შესახებ, თუ რას მოელიან მათგან და რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ თავის მხრივ ხელი შეუწყონ პროცესის ეფექტურად წარმართვას.

2.3. დაგეგმვა და მიზნების შემუშავება

ზოგადი საორიენტაციო შეხვედრის შემდეგ სკოლის დირექტორი და მასწავლებელი ინდივიდუალურად ხვდებიან ერთმანეთს. აღნიშნული შეხვედრის მიზანია შეფასების პროცესისთვის მომზადება და პროფესიული საქმიანობის მიმართულებებზე შეთანხმება:

- შეხვედრამდე პედაგოგი დაკვირვებით ეცნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და შეფასების რუბრიკას. მათი გათვალისწინებით აკეთებს საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიას, გამოკვეთს თავისი საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს; პრაქტიკის რეფლექსიისთვის მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა ინსტრუმენტი, მათ შორის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული თვითშეფასების კითხვარი (კითხვარი შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.tpdc.ge) და მეორე დანართში მოცემული რეფლექსიის კითხვარი.
- მასწავლებელი შეხვედრაზე დირექტორთან ერთად განიხილავს თვითშეფასების შედეგებს. დირექტორი და მასწავლებელი განიხილავენ სწავლებისა და, ზოგადად, პროფესიული საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, თანხმდებიან პროფესიული განვითარების მიზნებზე, ანუ სწავლების იმ ასპექტებზე, რომლებზეც მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მომავალი საქმიანობის დროს;
- სკოლის დირექტორი და მასწავლებლები განიხილავენ და თანხმდებიან ღონისძიებებსა და აქტივობებზე, რომლებშიც მასწავლებელი მონაწილეობას მიიღებს ინდივიდუალურად და კოლეგებთან ერთად.

პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და მიზნების შემუშავების შედეგები სასურველია გაფორმდეს წერილობით. მესამე დანართში წარმოდგენილია პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და მიზნების შემუშავების შედეგების ამსახველი ოქმის ფორმა.

2.4. დაკვირვება და მონაცემების შეგროვება

მასწავლებლის შეფასების პროცესის ყველაზე შრომატევად ეტაპს წარმოადგენს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვება და შესაბამისი მონაცემების შეგროვება. სკოლის დირექტორის მიერ შეგროვებული მონაცემები უნდა იძლეოდეს მასწავლებლის წინასწარ შემუშავებული რუბრიკის მიხედვით შეფასების შესაძლებლობას. ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაციას აგროვებს უშუალოდ სკოლის დირექტორი. მონაცემების ნაწილი კი უნდა შეაგროვოს თავად მასწავლებელმა და გაუზიაროს სკოლის დირექტორს შეფასების დროს. მომდევნო თავში დეტალურად არის აღწერილი მონაცემთა შეგროვების სამი მნიშვნელოვანი სტრატეგია: (ა) მასწავლებლის გაკვეთილზე დაკვირვება და უკუკავშირი; (ბ) მასწავლებლების დაკვირვება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში და სხვა პროფესიულ გარემოში; (გ) მასწავლებლის პორტფოლიოს ანალიზი.

2.5. მასწავლებლის თვითშეფასება

წლის ბოლოს დირექტორის მიერ მასწავლებლის საქმიანობის შეფასებამდე იგი თავად აფასებს საკუთარ საქმიანობას შეფასების რუბრიკის გამოყენებით. მასწავლებელი ყურადღებით განიხილავს რუბრიკაში მოცემულ თითოეულ მიმართულებას და საკუთარ საქმიანობას ანიჭებს კონკრეტულ ქულას (მეოთხე დანართში წარმოდგენილია მასწავლებლის თვითშეფასების ფორმა).

მნიშვნელოვანია, რომ წლის ბოლოს შემაჯამებელი შეხვედრისა და შეფასებისთვის მასწავლებელმა თან იქონიოს დოკუმენტაცია და ნამუშევრები, რომლებიც დაეხმარება საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის დასაბუთებაში. სასურველია, თვითშეფასების დროს მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს განვითარების იმ მიზნებზე, რომლებიც სასწავლო წლის დასაწყისში დირექტორთან ერთად შეიმუშავა. თვითშეფასების ფორმაში მასწავლებელმა მოკლედ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ღონისძიებების/აქტივობების შესახებ, რომლებში მონაწილეობაც დაისახა მიზნად სასწავლო წლის დასაწყისში.

2.6. წლიური შეფასება

წლის ბოლოს სკოლის დირექტორი აგროვებს და აანალიზებს მასწავლებლის შეფასებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას: (ა) გაკვეთილზე დაკვირვების ანგარიშებს; (ბ) მასწავლებელზე პროფესიულ გარემოში დაკვირვების ჩანაწერებს; (გ) მასწავლებლის პორტფოლიოში მოთავსებულ ინფორმაციას. იგი ასევე ეცნობა მასწავლებლის მიერ მომზადებულ თვითშეფასების ანგარიშს და მის მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციას. სკოლის დირექტორი აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით აფასებს მასწავლებელს შეფასების თითოეული რუბრიკის მიმართულებით და ანიჭებს შესაბამის ქულებს. იგი ასევე გამოყოფს მასწავლებლის მთავარ მიღწევებს, პროფესიული განვითარების საჭიროებებსა და სათანადო ღონისძიებებს.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის საბოლოო წლიური ანგარიშის მომზადებამდე სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს ჰქონდეთ მოსაზრებების გაზიარებისა და პროფესიული დიალოგის შესაძლებლობა. ამ დროს, შესაძლებელია, როგორც ერთმა, ასევე მეორე მხარემ შეცვალოს საკუთარი პოზიცია, მათ შორის რუბრიკის ფარგლებში მინიჭებული ქულები. საბოლოო შეთანხმების შემდეგ დირექტორი ამზადებს მასწავლებლის წლიური შეფასების ანგარიშს და ათავსებს მის პირად საქმეში. სასურველია, რომ გარდა სკოლის დირექტორის მიერ მინიჭებული ქულებისა, ანგარიშში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ძირითადი დაკვირვებების შესახებ, რომელთა საშუალებითაც დირექტორმა მოიპოვა ინფორმაცია მასწავლებლის შესახებ. ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მასწავლებლის მთავარი მიღწევების, გამოწვევებისა და მომავალ წელს პროფესიული განვითარების საჭიროებების შესახებ. მეხუთე დანართში წარმოდგენილია მასწავლებლის წლიური შეფასების ანგარიშის ფორმა.

წლიური შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული მასწავლებლის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მას სწავლების გაუმჯობესებაში. შესაბამისად, დაკვირვებისა და შეფასების დროს სკოლის დირექტორმა ყურადღება უნდა გაამახვილოს გასული სასწავლო წლის განმავლობაში არსებულ სირთულეებზე და შეაფასოს მისი პროგრესი ამ მიმართულებით.

2.7. შემფასებლისა და მასწავლებლის მოვალეობები

შეფასების პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია, რომ როგორც მასწავლებელმა, ასევე შემფასებელმა, ანუ დირექტორმა, დროულად და სრულფასოვნად შეასრულოს საკუთარი მოვალეობები შეფასების თითოეულ ეტაპზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ორივე მხარის მოვალეობები.

ცხრილი 3. შემფასებლისა და მასწავლებლის მოვალეობები	
შემფასებელი	მასწავლებელი
მასწავლებლებს აწვდის შეფასების სისტემის შესახებ სრულ ინფორმაციას: მიზნებს, კრიტერიუმებს, მოლოდინებს, პროცედურებს, განრიგსა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებს.	აქტიურ მონაწილეობას იღებს საორიენტაციო შეხვედრაში და დეტალურად ეცნობა ინფორმაციას მასწავლებელთა შეფასების სისტემის შესახებ.
ეცნობა მასწავლებლის მოსაზრებებს მისი საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ. მასწავლებელს სთავაზობს რეკომენდაციებს პრაქტიკის გაუმჯობესების გზების შესახებ.	ეცნობა მასწავლებლის შეფასების რუბრიკას. მისი გათვალისწინებით აანალიზებს საკუთარ საქმიანობას. გამოყოფს საკუთარი საქმიანობის ძლიერ მხარეებსა და გამოწვევებს. განსაზღვრავს იმ აქტივობებსა და ღონისძიებებს, რომლებშიც მონაწილეობა მას დაეხმარება პრაქტიკის გაუმჯობესებაში. საკუთარ მოსაზრებებს აცნობს სკოლის დირექტორს და საჭიროებისამებრ ითვალისწინებს მის უკუკავშირს.
აგროვებს ინფორმაციას მასწავლებლის სწავლების პრაქტიკისა და, ზოგადად, პროფესიული საქმიანობის შესახებ: ესწრება გაკვეთილებს, მასწავლებელს აკვირდება სხვადასხვა პროფესიულ გარემოში, პერიოდულად ეცნობა მასწავლებლის პორტფოლიოს. საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას ითხოვს შესაბამისი საგნის სპეციალისტებისგან. სიზუსტით ასახავს ინფორმაციას მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრებისა და სხვა საკითხების შესახებ.	აგროვებს და საკუთარ პორტფოლიოში ათავსებს მასწავლებლის შეფასების რუბრიკის შესაბამის ინფორმაციას. პერიოდულად ეცნობა წლის დასაწყისში დასახულ მიზნებს და მონაწილეობას იღებს შესაბამის ღონისძიებებსა და აქტივობებში. სკოლის დირექტორს მასპინძლობს საკუთარ საკლასო ოთახში დაკვირვებისთვის (როგორც ფორმალური, ასევე გაუფრთხილებელი დასწრების დროს). საჭიროებისამებრ აწვდის სკოლის დირექტორს ნებისმიერ ინფორმაციას მისი პროფესიული საქმიანობის შესახებ.

გამოითხოვს და ყურადღებით ეცნობა მასწავლებლის საქმიანობის თვითშეფასებასა და იმ ღონისძიებებს, რომლებიც მან განახორციელა პროფესიული განვითარების მიზნით.

გულწრფელად და ობიექტურად აფასებს საკუთარ საქმიანობას მასწავლებლის შეფასების რუბრიკის მიხედვით. ამზადებს თვითშეფასების ფორმას, სადაც აღწერს საკუთარ მიღწევებს, პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებულ აქტივობებსა და შემდგომი განვითარების საჭიროებებს.

აანალიზებს და ერთმანეთს უკავშირებს წლის განმავლობაში შეგროვებულ ინფორმაციას: გაკვეთილზე დასწრების ანგარიშებს, მასწავლებელზე პროფესიულ გარემოში დაკვირვების ჩანაწერებს, მასწავლებლის პორტფოლიოს, მასწავლებლის თვითშეფასებას. მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას გამოთქვას დამატებითი შენიშვნები საკუთარი საქმიანობის შესახებ. ყველა მონაცემისა და ინფორმაციის გათვალისწინებით ობიექტურად აფასებს მასწავლებლის საქმიანობას შეფასების რუბრიკის თითოეული მიმართულების მიხედვით. მასწავლებელთან თანამშრომლობით განსაზღვრავს მომავალი წლის პროფესიული განვითარების პრიორიტეტებს. ამზადებს მასწავლებლის შეფასების საბოლოო ანგარიშს და აცნობს მასწავლებელს.

ღიად და გულწრფელად განიხილავს საკუთარ მიღწევებს სკოლის დირექტორთან და მასთან თანამშრომლობით განსაზღვრავს მომავალი წლის პროფესიული განვითარების პრიორიტეტებს. ყურადღებით ეცნობა და აანალიზებს სკოლის დირექტორის მიერ მომზადებულ საბოლოო ანგარიშს.

თავი 3. მონაცემთა შეგროვების სტრატეგიები და ინსტრუმენტები

3.1. ძირითადი სტრატეგიების მიმოხილვა

მასწავლებლის შეფასება გულისხმობს, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს შემფასებელმა პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვას: რამდენად ეფექტური იყო მასწავლებლის საქმიანობა იმ ძირითადი მიმართულებებით, რომლებიც განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და მასწავლებლის საქმიანობის შეფასების რუბრიკაში? იმისათვის, რომ შემფასებელმა შეძლოს ამ მნიშვნელოვან შეკითხვაზე პასუხის გაცემა, მან უნდა შეაგროვოს სათანადო ინფორმაცია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით:

- მასწავლებლის გაკვეთილზე დაკვირვება და უკუკავშირი (ფორმალური და გაუფრთხილებელი დაკვირვება);
- მასწავლებლების დაკვირვება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებსა და სხვა პროფესიულ გარემოში;
- მასწავლებლის პორტფოლიოს ანალიზი, რომელშიც წარმოდგენილია როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების ნამუშევრები და მათი შედეგები.

3.2. გაკვეთილზე დაკვირვება და უკუკავშირი

გაკვეთილზე დაკვირვების მიზანია მასწავლებლის სწავლებისა და შეფასების პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. დაკვირვების დროს შემფასებელი უნდა დააკვირდეს როგორც მასწავლებლის პრაქტიკას, ასევე მოსწავლეების საპასუხო ქმედებებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- (1) **გაკვეთილის დაგეგმვა:** დაგეგმილი აქვს თუ არა მასწავლებელს გაკვეთილი? აქვს შემუშავებული გაკვეთილის მიზანი, მოსალოდნელი შედეგები, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები? მომზადებული აქვს გაკვეთილისთვის საჭირო სასწავლო რესურსები?
- (2) **ფიზიკური გარემო საკლასო ოთახში:** როგორ არის ორგანიზებული საკლასო გარემო? მოწესრიგებულია საკლასო ოთახი? როგორ არის მერხები განლაგებული? რა თვალსაჩინოებებია გამოყენებული? რა სასწავლო რესურსებს იყენებს მასწავლებელი? საკლასო გარემოს რომელი ელემენტები მიანიშნებს, რომ საკლასო ოთახში მიმდინარეობს სწავლა-სწავლების აქტიური პროცესი? შეესაბამება თუ არა საკლასო გარემო და რესურსები გაკვეთილის მიზანს?
- (3) **სოციალური და ფსიქოლოგიური გარემო საკლასო ოთახში:** მასწავლებელი პატივისცემით ეპყრობა მოსწავლეებს? როგორი მოლოდინები აქვს მასწავლებელს მოსწავლეების მიმართ? მოსწავლეები თამამად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს?
- (4) **მოსწავლეების ჩართულობა:** აინტერესებთ მოსწავლეებს გაკვეთილის თემა? ყველა მოსწავლე მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში? ახერხებს მასწავლებელი მოსწავლეების მიმართ ინდივიდუალური ყურადღების გამოჩენას? იყენებს

მასწავლებელი მრავალფეროვან სტრატეგიებს მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად?

- (5) **კლასის მართვა:** არის კლასში სწავლისთვის ხელსაყრელი გარემო? შეინიშნება კლასში შეთანხმებული ქცევის წესების არსებობა? ახერხებენ მოსწავლეები წესების დაცვას? ახერხებს მასწავლებელი მოსწავლეების არასასურველი ქცევის პრევენციას ან დროულად აღმოფხვრას?
- (6) **სწავლება და შეფასება:** იცის მასწავლებელმა რას ასწავლის და რატომ? იყენებს მასწავლებელი გაკვეთილის მიზანთან შესაბამის აქტივობებს? ითვალისწინებს მასწავლებელი მოსწავლეების საჭიროებებსა და მზაობას? აფასებს მასწავლებელი მოსწავლეების მიერ სასწავლო მასალის ათვისებას? ხელს უწყობს მასწავლებელი მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას მოსწავლეებში?

გაკვეთილზე დასწრების მიზნიდან გამომდინარე, შემფასებელს შეუძლია სხვადასხვა დაკვირვების ფორმის გამოყენება. კერძოდ, დაკვირვების ფორმა შეიძლება იყოს ზოგადი ან გამიზნული იყოს კონკრეტულ კლასში/კლასებში კონკრეტული საგნის სწავლებაზე. დანართში წარმოდგენილია როგორც გაკვეთილზე დაკვირვების ზოგადი ფორმა, ასევე დაწყებით კლასებში კითხვისა და მათემატიკის გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები.

რეკომენდებულია, რომ შემფასებელი თითოეულ მასწავლებელს გაკვეთილზე დაესწროს წელიწადში რამდენჯერმე. მას შეუძლია გამოიყენოს როგორც ე.წ. ფორმალური დაკვირვება, რომელიც წინასწარ არის შეთანხმებული მასწავლებელთან და გრძელდება სრული 45 წუთის განმავლობაში. ასევე სასურველია, რომ დირექტორმა წელიწადში რამდენჯერმე განახორციელოს ე.წ. გაუფრთხილებელი დასწრება გაკვეთილზე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 10-15 წუთი ან სრული გაკვეთილის განმავლობაში. მეოთხე ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ე.წ. ფორმალური და გაუფრთხილებელი დაკვირვების შესახებ.

ე.წ. ფორმალური დაკვირვების წინ შემფასებელი წინასწარ უნდა შეხვდეს მასწავლებელს და მასთან განიხილოს გაკვეთილთან დაკავშირებული საკითხები:

- **შინაარსი:** რას ისწავლიან მოსწავლეები?
- **პროცესი:** როგორ წარიმართება პროცესი? რა მეთოდებს და აქტივობებს გამოიყენებს? რა რესურსებს გამოიყენებს?
- **მოსწავლეების მახასიათებლები:** როგორია მოსწავლეების ზოგადი აკადემიური მდგომარეობა? რა არის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები? არიან თუ არა კლასში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეები?
- **შეფასება:** როგორ გაიგებს მასწავლებელი რა ისწავლეს მოსწავლეებმა?
- **წინა რეკომენდაციები:** რა სახის რეკომენდაციები მიიღო მასწავლებელმა წინა დასწრების დროს? როგორ გავითვალისწინებთ აღნიშნულ რეკომენდაციებს ამჟამინდელი დაკვირვების დროს?
- **გაკვეთილზე დასწრების ფოკუსი:** რაზე გაამახვილებს დირექტორი ყურადღებას?

ცხრილი 4. ფორმალური და გაუფრთხილებელი შეხვედრები		
	ფორმალური	გაუფრთხილებელი
მიზანი	მასწავლებლის სწავლების მონიტორინგი და შეფასება	
	ფოკუსი: მასწავლებლის ზოგადი უნარიანობა და მზაობა	ფოკუსი: მასწავლებლის ყოველდღიური პრაქტიკა
ხანგრძლივობა	45 წთ.	10-15 წთ.
სიხშირე	მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც	წელიწადში რამდენჯერმე
ინფორმაცია დასწრების შესახებ	დასწრება და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეთანხმებულია მასწავლებელთან.	მასწავლებელი წინასწარ არ ფლობს ინფორმაციას დასწრების შესახებ.
შოუს ეფექტი	შესაძლებელია, რადგან მასწავლებელმა იცის, როდის უნდა დაესწრონ და შეუძლია წინასწარ საგანგებოდ მომზადება გაკვეთილისთვის.	ნაკლებად შესაძლებელია, რადგან მასწავლებელმა არ იცის, როდის უნდა დაესწრონ.
მასწავლებლების შერჩევა	თანაბარი (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა)	
მონაცემების შეგროვება	წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმის მიხედვით	ზოგადი სქემის მიხედვით
ინფორმაცია გაკვეთილის კონტექსტზე	სრული (წლიურ გეგმასთან მიმართება, მოსწავლეების მზაობა, და სხვა)	ზოგადი ინფორმაცია
დაკვირვების ციკლი	წინასწარი შეხვედრა + დასწრება + დასწრების შემდგომი შეხვედრა	დასწრება + დასწრების შემდგომი შეხვედრა

მასწავლებელთან შეხვედრა აუცილებელია როგორც ფორმალური, ასევე გაუფრთხილებელი დასწრების შემდეგ. ეს ეხმარება მასწავლებელს დროულად გაიგოს, რას ფიქრობს შემფასებელი მისი საქმიანობის შესახებ, კიდევ უფრო გააძლიეროს სწავლების პოზიტიური მხარეები და იმუშაოს შედარებით სუსტი მხარეების დაძლევაზე. უკუკავშირის შეხვედრა შემდეგ ძირითად საკითხებს უნდა მოიცავდეს:

- **მასწავლებლის რეფლექსია:** როგორ ჩაიარა მასწავლებლის მიერ ჩატარებულმა გაკვეთილმა? განმეორებით რომ ატარებდეს გაკვეთილს, რას გააკეთებდა განსხვავებულად? რა მიაჩნია მასწავლებელს მისი გაკვეთილის ძლიერ მხარედ?
- **დირექტორის უკუკავშირი:** რაში მდგომარეობს გაკვეთილის ორი ძლიერი მხარე? რაში მდგომარეობს გაკვეთილის ორი ნაკლებად ძლიერი მხარე, რომლის გაუმჯობესებაზეც მასწავლებელმა უნდა გააგრძელოს მუშაობა?
- **წინა რეკომენდაციები:** შეძლო თუ არა მასწავლებელმა წინა დასწრების დროს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება?
- **დამაზუსტებელი შეკითხვები:** სწავლების დროს რატომ მიიღო მასწავლებელმა ესა თუ ის გადაწყვეტილება? რა მოხდა და რატომ მოხდა?
- **სამომავლო გეგმები:** რა შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის? მომდევნო დასწრების დროს, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება მასწავლებელმა და დირექტორმა?



როგორც ზემოთ აღინიშნა, ფორმალური დაკვირვების დროს სასურველია, რომ შემფასებელმა გამოიყენოს დაკვირვების ფორმა, რომელიც დაეხმარება მას ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაში. დაკვირვების ფორმები განსხვავდება დაკვირვების ფოკუსის მიხედვით. მეხუთე და მეექვსე დანართებში მოცემულია დაკვირვების ფორმები, რომელთა ფოკუსია მასწავლებლის მიერ კითხვისა და მათემატიკის გაკვეთილის სამფაზიანი მოდელისა და განმავითარებელი შეფასების მეთოდების გამოყენება დაწყებით კლასებში. მეშვიდე დანართში წარმოდგენილი დაკვირვების ფორმა კი მოიცავს გაკვეთილის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს: სწავლების სტრატეგიებს, კლასის მართვას, შეფასებას და სხვა. შემფასებელს თავად შეუძლია დაკვირვების ფორმის შერჩევა და გამოყენება დაკვირვების ფოკუსიდან გამომდინარე.

3.3. დაკვირვება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებსა და სხვა პროფესიულ გარემოში

მასწავლებლის შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვებისთვის მნიშვნელოვანია, შემფასებელი დააკვირდეს მასწავლებლის საქმიანობას მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში, პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების შეხვედრების, მშობლებთან შეხვედრების, კოლეგებთან კომუნიკაციის, სასკოლო ღონისძიებების დროს და ა.შ. პროფესიულ გარემოში დაკვირვებისას შემფასებელმა უნდა მოიპოვოს შემდეგი ინფორმაცია:


- მონაწილეობს მასწავლებელი პროფესიული განვითარების აქტივობებში? რა სახის აქტივობებში მონაწილეობს იგი? რამდენ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა?
- ხელს უწყობს მასწავლებელი შეხვედრების აქტიურად წარმართვას?
- უზიარებს მასწავლებელი საკუთარი სწავლების გამოცდილებასა და სირთულეებს კოლეგებს? ცდილობს თუ არა მათგან სასარგებლო ინფორმაციის მიღებასა და გამოყენებას?
- იყენებს თუ არა მასწავლებელი კოლეგებთან თანამშრომლობის დროს მიღებულ ინფორმაციას სწავლების პროცესში?
- კონსტრუქციულია მასწავლებელი კოლეგებთან თანამშრომლობის დროს? სცემს თუ არა მასწავლებელი პატივს კოლეგების განსხვავებულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს? და სხვა.

3.4. მასწავლებლის პორტფოლიოს ანალიზი

მასწავლებლის პორტფოლიო არის მრავალფეროვანი დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც ასახავს მასწავლებლის სწავლების პრაქტიკას, პროფესიულ განვითარებასა და მოსწავლეების სწავლის პროცესსა და შედეგებს. პორტფოლიო მასწავლებელს ეხმარება საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიაში. ამასთანავე, მასწავლებლის პორტფოლიოს გაცნობით დირექტორი შეძლებს მასწავლებლის შეფასებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებასა და გაანალიზებას.

დირექტორს შეუძლია პორტფოლიოს გაცნობით გაანალიზოს სამი სახის ინფორმაცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლის შეფასების რუბრიკას: (ა) მასწავლებლის სწავლებისა და შეფასების ამსახველი მასალა; (ბ) მოსწავლეების სწავლისა და შედეგების ამსახველი მასალა; (გ) პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობის ამსახველი მასალა. მეორე ნახაზზე წარმოდგენილია ის დოკუმენტები, რომელთა გაანალიზებაც შეუძლია სკოლის დირექტორს მასწავლებლის შეფასების დროს.

ნახაზი 2. მასწავლებლის პორტფოლიოს სტრუქტურა



წყარო: სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. (2014). თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დანართები

დანართი 1. მასწავლებლის შეფასების რუბრიკა

I. სასწავლო პროცესის დაგეგმვა: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას სტანდარტის მიხედვით წლიური და თემატური სასწავლო გეგმების შემუშავებით, შესაბამისი გაკვეთილების დაგეგმვით და გაზომვადი სასწავლო მიზნების განსაზღვრით.				
	მალიან ეფექტური (4)	ეფექტური (3)	საჭიროებს გაუმჯობესებას (2)	ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს (1)
პროფესიული ცოდნა	არის საგნის ექსპერტი. ფლობს უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას მოსწავლეების განვითარებისა და სწავლის თავისებურებების შესახებ.	სრულფასოვნად ფლობს საგანს. კომპეტენტურია მოსწავლეების განვითარებისა და სწავლის თავისებურებების საკითხებში.	ნაწილობრივ ფლობს საგანს. აქვს გარკვეული ცოდნა მოსწავლეების განვითარებისა და სწავლის თავისებურებების შესახებ.	ცუდად ფლობს საგანს. აქვს მწირი ინფორმაცია მოსწავლეების განვითარებისა და სწავლის თავისებურებების შესახებ.
საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინება	აქვს საგნის სწავლების დეტალური სასწავლო გეგმა, რომელიც შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს და უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სტანდარტის წარმატებით დაძლევას.	გეგმავს სასწავლო წელს საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით.	ნაწილობრივ ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს სასწავლო წლის დაგეგმვის დროს.	ნაკლებად იცნობს საგნობრივი სტანდარტების დოკუმენტს. არ აქვს წინასწარ შემუშავებული წლიური სასწავლო გეგმა.
თემატური გეგმის შემუშავება	შეიმუშავებს თემატურ სასწავლო გეგმებს, რომლებიც მოიცავს საგნობრივი სტანდარტის შესაბამის მთავარ სასწავლო მიზანს, შესაბამის სასწავლო ამოცანებს და ფარავს ბლუმის ტაქსონომიით გათვალისწინებულ უნარებს სხვადასხვა დონეზე.	შეიმუშავებს თემატურ სასწავლო გეგმებს, რომელთა უმრავლესობა მოიცავს საგნობრივი სტანდარტის შესაბამის მთავარ სასწავლო მიზანს, შესაბამის სასწავლო ამოცანებს და ფარავს ბლუმის ტაქსონომიით გათვალისწინებულ უნარებს სხვადასხვა დონეზე.	შეიმუშავებს თემატურ სასწავლო გეგმებს, რომლებიც გარკვეულწილად შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს და ითვალისწინებს მაღალ სააზროვნო უნარებზე მუშაობას.	არ აქვს შემუშავებული თემატური სასწავლო გეგმები. ეპიზოდურად გეგმავს სწავლებას საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინებისა და მთავარი სასწავლო მიზნების განსაზღვრის გარეშე.

შეფასების დაგეგმვა	ამზადებს დიაგნოსტიკურ, საკლასო, შუალედურ და შემაჯამებელ შეფასებებს მოსწავლეთა სწავლის მონიტორინგის მიზნით.	გეგმავს საკლასო და თემატურ შეფასებებს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაზომვის მიზნით.	ქმნის თემატურ შეფასებებს სწავლების მსვლელობისას.	ამზადებს შემაჯამებელ ტესტს მისი ჩატარების წინ.
სირთულეების განჭვრეტა	წინასწარ განჭვრეტს მოსწავლეებისთვის რთულ და დამაბნეველ საკითხებს და შეიმუშავებს მათი დაძლევისთვის საჭირო მრავალფეროვან სტრატეგიებს.	წინასწარ განჭვრეტს მოსწავლეებისთვის რთულ და დამაბნეველ საკითხებს და შეიმუშავებს მათი დაძლევისთვის საჭირო სტრატეგიებს.	აქვს ინფორმაცია რამდენიმე ტიპური სირთულის შეესახებ, რომლებიც შეიძლება მოსწავლეებს ჰქონდეთ სწავლის პროცესში.	გეგმავს გაკვეთილს მოსწავლეებისთვის შესაძლო რთული და დამაბნეველი საკითხების გათვალისწინების გარეშე.
გაკვეთილების დაგეგმვა	გეგმავს თითოეულ გაკვეთილს მკაფიო, გაზომვადი და მიღწევადი მიზნებით, რომლებიც სრულად შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს და თემატურ სასწავლო გეგმას.	გეგმავს თითოეულ გაკვეთილს მკაფიო, გაზომვადი და მიღწევადი მიზნებით, რომლებიც შეესაბამება თემატურ სასწავლო გეგმას.	გეგმავს გაკვეთილებს საგნის სწავლების ზოგადი მიზნების ნაწილობრივ გათვალისწინებით.	გეგმავს გაკვეთილებს, რომელთა მიზანია სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალის დაფარვა.
მოსწავლეთა ჩართულობა	გეგმავს რელევანტურ გაკვეთილებს, რომლებიც უპასუხებს თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებს და რთავს აქტიური სწავლის პროცესში.	გეგმავს რელევანტურ გაკვეთილებს, რომლებიც უპასუხებს მოსწავლეების უმრავლესობის ინტერესებსა და საჭიროებებს და რთავს აქტიური სწავლის პროცესში.	გეგმავს გაკვეთილებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეების გარკვეული ნაწილის დაინტერესებასა და ჩართულობაზე.	გეგმავს გაკვეთილებს, რომლებიც არ არის ორიენტირებული მოსწავლეების დაინტერესებასა და ჩართულობაზე.
რესურსების გამოყენება	გეგმავს გაკვეთილებს, რომლებიც ითვალისწინებს მაღალი ხარისხის მულტიკულტურულ ი სასწავლო მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას.	გეგმავს გაკვეთილებს, რომლებიც ითვალისწინებს სათანადო ხარისხის მულტიკულტურული სასწავლო მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას.	გეგმავს გაკვეთილებს, რომლებიც ითვალისწინებს კარგი და საშუალო ხარისხის სასწავლო მასალების გამოყენებას.	გეგმავს გაკვეთილებს, რომლებიც ითვალისწინებს საშუალო ან დაბალი ხარისხის სასწავლო რესურსების გამოყენებას.

სწავლების დიფერენცირება	გეგმავს აქტივობებს, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეების სწავლის საჭიროებებს, სტილსა და ინტერესებს.	გეგმავს აქტივობებს, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეების გარკვეული ჯგუფის სწავლის საჭიროებებს, სტილსა და ინტერესებს.	გაკვეთილის დაგეგმვის დროს მინიმალურად ითვალისწინებს მოსწავლეთა სპეციალურ საჭიროებებს.	გაკვეთილის დაგეგმვის დროს არ იყენებს დიფერენცირების ელემენტებს.
გარემოს დაგეგმვა	გეგმავს ოთახის განლაგებას, მასალებს, თვალსაჩინოებებს სწავლისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით.	გეგმავს ოთახის განლაგებას, მასალებს, თვალსაჩინოებებს გაკვეთილისა და თემატური სასწავლო გეგმის შესაბამისად.	ოთახის განლაგება, მასალები, თვალსაჩინოებები ნაწილობრივ შეესაბამება გაკვეთილის მიზნებს.	არ გეგმავს სათანადო გარემოს შექმნასა და თვალსაჩინოებების გამოყენებას.
II. კლასის მართვა: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას უსაფრთხო, მოწესრიგებული და პატივისცემაზე დაფუძნებული საკლასო გარემოს შექმნით.				
	მალიან ეფექტური (4)	ეფექტური (3)	საჭიროებს გაუმჯობესებას (2)	ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს (1)
მოლოდინები მოსწავლეების მიმართ	მკაფიოდ და გასაგებად აცნობს მოსწავლეებს მათი ქცევის მიმართ მოლოდინებს. თანმიმდევრულად და მტკიცედ მოითხოვს მოსწავლეებისგან ამ მოლოდინების შესაბამის ქცევას.	გასაგებად აცნობს მოსწავლეებს მათი ქცევის მიმართ მოლოდინებს. მოსწავლეებისგან მოითხოვს ამ მოლოდინების შესაბამის ქცევას.	აცხადებს და საკლასო ოთახში აკრავს საკლასო ქცევის წესებსა და სანქციებს.	ქმნის წესებსა და სანქციებს კონკრეტული შემთხვევებისთვის ეპიზოდურად.
მოსწავლეებთან დამოკიდებულება	თითოეულ მოსწავლესთან აქვს თბილი, მზრუნველი, პატივისცემით განმსჭვალული და სამართლიანი დამოკიდებულება. ყველა მოსწავლესთან აქვს პოზიტიური ურთიერთობა.	მოსწავლეების მიმართ არის სამართლიანი. პატივს სცემს მათ. მოსწავლეებთან აქვს პოზიტიური ურთიერთობა.	მოსწავლეების უმრავლესობის მიმართ არის სამართლიანი. პატივს სცემს მათ უმრევლესობას და ინარჩუნებს პოზიტიურ ურთიერთობებს.	პერიოდულად არის უხეში, უსამართლო მოსწავლეების მიმართ და უპატივცემულოდ ეპყრობა მათ და / ან ჰყავს ფავორიტი მოსწავლეები.
ურთიერთპატივისცემის ხელშეწყობა	ქმნის პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს კლასში, რაც სრულიად გამორიცხავს სასწავლო პროცესის ხელისშემშლელ დისციპლინურ დარღვევებს.	მოიპოვებს პატივისცემას მოსწავლეების უმრავლესობისგან. იშვიათად აქვს ადგილი სასწავლო პროცესის ხელისშემშლელ დისციპლინურ დარღვევებს.	მოიპოვებს პატივისცემას ზოგიერთი მოსწავლისგან. თუმცა კლასში ხშირად შეინიშნება დისციპლინური დარღვევები.	მოსწავლეები არ სცემენ პატივს. საკლასო ოთახში ხშირად არის ქაოსური და არაუსაფრთხო გარემო.

სოც.-ემოციური კლიმატი	წარმატებით ახერხებს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას.	წახალისებს მოსწავლეებს შორის პოზიტიურ ურთიერთობებს და ხელს უწყობს მათი სოციალური უნარების განვითარებას.	ხშირად მიუთითებს მოსწავლეებს კარგი ქცევის აუცილებლობაზე და ილუსტრირებისთვის იყენებს არასათანადო ქცევის მოსწავლეებს.	საჯაროდ აძლევს შენიშვნებს და კიცხავს დისციპლინური დარღვევების მქონე მოსწავლეებს.
საკლასო წესები	სასწავლო წლის დასაწყისშივე აცნობს მოსწავლეებს საკლასო წესებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას მთელი წლის განმავლობაში.	მოსწავლეებს აცნობს საკლასო წესებს და ეხმარება მათ დაცვაში მთელი წლის განმავლობაში.	ცდილობს დანერგოს საკლასო წესები, თუმცა მოსწავლეების უმრავლესობა არ იცავს მათ.	არ აცნობს მოსწავლეებს საკლასო წესებს. მუდმივად უკმაყოფილოა მოსწავლეების ქცევით. სჯის მოსწავლეებს.
მოსწავლეთა პასუხისმგებლობა	უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მიერ საკუთარი ქცევის რეგულირებასა და საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებას.	მოსწავლეებს ასწავლის საკუთარი ქცევის რეგულირებასა და საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებას.	ცდილობს მოსწავლეებს ასწავლოს საკუთარი ქცევის რეგულირება, თუმცა მოსწავლეების უმეტესობა აღნიშნულს ვერ ახერხებს.	ვერ ახერხებს მოსწავლეებში საკუთარი ქცევის რეგულირების უნარის გამომუშავებას.
დროის მართვა	ოსტატურად მართავს აქტივობებს და აქტივობებს შორის გადასვლებს, უზრუნველყოფს საგაკვეთილო დროის თითოეული წუთის სწავლება-სწავლისთვის გამოყენებას.	უზრუნველყოფს საგაკვეთილო დროის ეფექტურად გამოყენებას საკვეთილის თანმიმდევრულად წარმართვითა და აქტივობებს შორის გამართული გადასვლებით.	ხანდახან არამიზნობრივად იყენებს საგაკვეთილო დროს ბუნდოვანი საკითხების, დისციპლინური დარღვევების, აქტივობებს შორის არაეფექტური გადასვლებისა და გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო.	საგაკვეთილო დროს უმეტეს ნაწილს კარგავს კლასში წარმოქმნილ გაუგებრობებზე, დისციპლინურ დარღვევებსა და აქტივობებს შორის არათანმიმდევრულ გადასვლებზე.
დარღვევების პრევენცია	გაკვეთილის მსვლელობის დროს აკონტროლებს კლასში არსებულ გარემოს და უზრუნველყოფს ნებისმიერი პრობლემის დასაწყისშივე აღკვეთას.	გაკვეთილის მსვლელობის დროს აკონტროლებს კლასში არსებულ გარემოს და უზრუნველყოფს უმეტესი პრობლემის დასაწყისშივე აღკვეთას.	ცდილობს აღკვეთოს დისციპლინის პრობლემები. თუმცა, პერიოდულად მცირე გადაცდომები მნიშვნელოვან დისციპლინურ დარღვევებს იწვევს.	ვერ ახერხებს დისციპლინური პრობლემების შემჩნევასა და აღმოფხვრას.

<p>მოსწავლეთა წახალისება</p>	<p>აქვს შინაგანი მოტივაციის ამაღლების ეფექტური სისტემა, რომელსაც სრულად იზიარებენ მოსწავლეები.</p>	<p>ეფექტურად იყენებს წახალისების სხვადასხვა მექანიზმს მოსწავლეთა თანამშრომლობის წახალისებისა და აღიარების მიზნით.</p>	<p>იყენებს გარეგანი მოტივაციის ამაღლების მექანიზმებს მოსწავლეების თანამშრომლობისა და მათ მიერ წესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით.</p>	<p>ეპიზოდურად იყენებს მხოლოდ გარეგანი მოტივაციის ამაღლების მექანიზმებს (მაგალითად, თავისუფალი დრო) და ვერ ახერხებს მოსწავლეების ქცევების გაუმჯობესებას.</p>
<p>III. სწავლება: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას სწავლებით, რომელიც ეფუძნება მაღალ მოლოდინებს, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას და ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებს, ინტერესებსა და მზაობას.</p>				
	<p>მალიან ეფექტური (4)</p>	<p>ეფექტური (3)</p>	<p>საჭიროებს გაუმჯობესებას (2)</p>	<p>ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს (1)</p>
<p>მაღალი მოლოდინები</p>	<p>აქვს მაღალი მოლოდინები თითოეული მოსწავლის მიმართ. სჯერა, რომ ყველა მოსწავლე შეძლებს სასწავლო მასალის დაუფლებას.</p>	<p>მოსწავლეებს უზიარებს თავის მოლოდინებს: “ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენ შეგიძლიათ სწავლა და არ ვაპირებ სხვა ვითარებასთან შეგუებას”.</p>	<p>მოსწავლეებს უხსნის, რომ ამ საგნის სწავლა მნიშვნელოვანია და ამიტომ ბეჯითად უნდა ისწავლონ.</p>	<p>თვლის, რომ ზოგიერთ მოსწავლეს არ შეუძლია მასალის ათვისება და აღარ ცდილობს მათი სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.</p>
<p>უნარიანობა vs ძალისხმევა</p>	<p>მოსწავლეებს არწმუნებს, რომ ყველას აქვს განვითარებისა და გაუმჯობესების პოტენციალი: “არ შეგეშინდეთ რისკების, ისწავლეთ თქვენი შეცდომებიდან, არ დაიშუროთ ძალისხმევა და აუცილებლად მიაღწევთ მაღალ შედეგებს”.</p>	<p>მოსწავლეებს არწმუნებს, რომ მთავარია არა თანდაყოლილი უნარიანობა, არამედ ეფექტური შრომა და ძალისხმევა.</p>	<p>არ ცდილობს შეცვალოს მოსწავლეების მცდარი რწმენა თანდაყოლილი უნარიანობის შესახებ.</p>	<p>მოსწავლეებში ამყარებს მცდარ რწმენას თანდაყოლილი უნარიანობის შესახებ: ზოგს შეუძლია, ზოგს კი - არა.</p>

სასწავლო მიზნების გაცნობა	მოსწავლეებს ზუსტად აცნობს სასწავლო მიზნებსა და მოლოდინებს მთავარი საძიებო შეკითხვების, მიზნების, რუბრიკების, სანიმუშო ნამუშევრების გაზიარებითა და კლასში გამოკვრით. თითქმის ყველა მოსწავლეს შეუძლია ამ მიზნებისა და მოლოდინების შესახებ საუბარი.	მოსწავლეებს მკაფიოდ აცნობს სასწავლო მიზნებსა და მოლოდინებს კონრეტული სასწავლო თემისა თუ გაკვეთილების მიზნების გაზიარებითა და კლასში გამოკვრით.	მოსწავლეებს აცნობს თითოეული გაკვეთილის მიზანს.	სწავლების დასაწყისში მოსწავლეებს არ აწვდის ინფორმაციას მათი სასწავლო მიზნებისა და აკადემიური მოლოდინების შესახებ.
კავშირების დამყარება	უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის სასწავლო თემითა და გაკვეთილით დაინტერესებას წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებით, სასწავლო მასალასთან დაკავშირებით.	ააქტიურებს მოსწავლის წინარე ცოდნას და ავლებს კავშირს თითოეულ გაკვეთილთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების დაინტერესებას.	იშვიათად ახერხებს მოსწავლეების საგნით დაინტერესებას მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან სასწავლო მასალის დაკავშირების გზით.	იშვიათად ახერხებს მოსწავლეების დაინტერესებას სასწავლო თემით და კავშირების გაკვლევას მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან.
მასალის წარდგენა	სასწავლო მასალას წარადგენს მკაფიოდ, ნათლად, კარგად შერჩეული მაგალითების გამოყენებით.	სასწავლო მასალის წარდგენის დროს განმარტავს ბუნდოვან საკითხებს ნათლად. იყენებს მაგალითებს.	მასალის წარდგენის დროს ზოგჯერ იყენებს გაუგებარ და დამაბნეველ მსჯელობას.	მასალის წარდგენის დროს ხშირად იყენებს გაუგებარ და დამაბნეველ მსჯელობას.
მეთოდების გამოყენება	იყენებს მრავალფეროვან, მიზნობრივად შერჩეულ ეფექტურ სტრატეგიებს, შეკითხვებს, მასალებს, ტექნოლოგიებსა და დაჯგუფების მეთოდებს მოსწავლეთა სწავლის პროცესის სრულყოფის მიზნით.	იყენებს ეფექტურ სტრატეგიებს, შეკითხვებს, მასალებს, ტექნოლოგიებსა და დაჯგუფების მეთოდებს მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობის მიზნით.	იყენებს მცირე რაოდენობის სტრატეგიებს, შეკითხვებს, მასალებს, ტექნოლოგიებსა და დაჯგუფების მეთოდებს. მასწავლებლის აღნიშნული მცდელობა ყოველთვის თანაბრად წარმატებული არ არის.	იყენებს ერთი ან ორი სახის სწავლების სტრატეგიასა და მასალებს. ვერ ახერხებს მოსწავლეთა უმრავლესობის სწავლის პროცესის ხელშეწყობას.

მოსწავლეთა ჩართულობა	უზრუნველყოფს თითქმის ყველა მოსწავლის ჩართულობას ფოკუსირებულ აქტივობებში, აქტიური და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის პროცესში.	ხელს უწყობს მოსწავლეების აზროვნებას, მსჯელობას, დისკუსიას, ნასწავლი იდეებისა და უნარების გამოყენებას.	ცდილობს ყველა მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში, თუმცა ყველა მოსწავლე არ არის ჩართული.	ძირითადად აქვს ლექციური ტიპის გაკვეთილი ან მოსწავლეებს ამუშავებს სახელმძღვანელოსა და სამუშაო ფურცლებზე.
სწავლების დიფერენცირება	იყენებს დიფერენცირების, სკაფოლდინგის მეთოდებსა და თანატოლთა ურთიერთსწავლებას თითოეული მოსწავლის მიერ სტანდარტით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით.	იყენებს დიფერენცირების, სკაფოლდინგის მეთოდებსა და თანატოლების ურთიერთსწავლებას მოსწავლეთა უმრავლესობის აკადემიური საჭიროებებზე რეაგირების მიზნით.	ცდილობს გაითვალისწინოს და სათანადო რეაგირება მოახდინოს მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებებზე, თუმცა ყოველთვის ვერ ახერხებს.	ვერ ახერხებს სწავლების დიფერენცირებასა და სირთულეების მქონე მოსწავლეების საჭიროებებზე რეაგირებას.
სწავლის შეჯამება	ყოველთვის ეხმარება მოსწავლეებს შესწავლილი საკითხის შეჯამებასა და გათავისებაში, რეალურ საყოფაცხოვრებო სიტუაციებსა თუ განსხვავებულ კონტექსტში გამოყენებაში.	ეხმარება მოსწავლეებს შესწავლილი საკითხის შეჯამებასა და განსხვავებულ კონტექსტში გამოყენებაში.	პერიოდულად აჯამებს გაკვეთილს და სთხოვს მოსწავლეებს იფიქრონ ცოდნის გამოყენების სხვადასხვა გზაზე.	გაკვეთილებს ასრულებს შესწავლილი საკითხის შეჯამებისა და განსხვავებულ კონტექსტში გამოყენების გარეშე.
IV. შეფასება: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას (ა) სტანდარტის შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების შექმნითა და ადმინისტრირებით; (ბ) მოსწავლეების შედეგების ანალიზით და ამ ინფორმაციის სწავლების გაუმჯობესების მიზნით გამოყენებით; (გ) მოსწავლეებისთვის სასარგებლო უკუკავშირის მიწოდებით.				
	ძალიან ეფექტური (4)	ეფექტური (3)	საჭიროებს გაუმჯობესებას (2)	ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს (1)
შეფასების კრიტერიუმები	მოსწავლეებს რეგულარულად აცნობს კარგი ნამუშევრების კრიტერიუმებს, შეფასების რუბრიკებს და სხვადასხვა დონეზე შესრულებულ ნამუშევრებს.	მოსწავლეებს აცნობს დამაკმაყოფილებელი ნამუშევრების კრიტერიუმებს, რუბრიკებისა და ნამუშევრების მაგალითების ჩათვლით.	მოსწავლეებს აცნობს მათი ნამუშევრების რამდენიმე აუცილებელ მახასიათებელს.	ფიქრობს, რომ მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ ან თვითონ მიხვდნენ მათი ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმებს.

დიაგნოსტიკური შეფასება	სწავლების დასაწყისში მოსწავლეებს უტარებს კარგად შემუშავებულ დიაგნოსტიკურ შეფასებას. მიღებულ ინფორმაციას იყენებს სწავლების დაგეგმვისა და გაუმჯობესებისთვის.	სწავლების დასაწყისში ახდენს მოსწავლეების ცოდნისა და უნარების დიაგნოსტიკას. შეფასების შედეგებს გარკვეულწილად ითვალისწინებს სწავლების დაგეგმვისთვის.	თითოეული სასწავლო თემის დაწყების წინ ატარებს ზედაპირულ შეფასებას (მაგ., ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე).	სწავლებას იწყებს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების დიაგნოსტიკის გარეშე.
გაგების შემოწმება	იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს მოსწავლეთა გაგების შემოწმების მიზნით. დაუყოვნებლივ იღებს ზომებს არსებული გაუმჯობესების დროულად აღმოფხვრის მიზნით.	ხშირად ამოწმებს მოსწავლეების მიერ სასწავლო საკითხების გაგებას. დაბნეულობის შემთხვევაში მოსწავლეებს აღმოუჩენს სათანადო მხარდაჭერას.	იყენებს მეტ-ნაკლებად ეფექტურ მეთოდებს სწავლების პროცესში მოსწავლეების გაგების შემოწმების მიზნით.	იყენებს არაეფექტურ მეთოდებს მოსწავლეთა გაგების დონის შემოწმების მიზნით (მაგ., ყველაში გაიგო ახსნილი მასალა?).
მოსწავლეთა თვითშეფასება	მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაისახონ ამბიციური სასწავლო მიზნები, რეგულარულად შეაფასონ საკუთარი სწავლის პროცესი და პასუხისმგებლობა აიღონ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე.	მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაისახონ სასწავლო მიზნები, რეგულარულად შეაფასონ საკუთარი სწავლის პროცესი და აკადემიური მოსწრება.	მოსწავლეებისგან მოითხოვს მათი ნამუშევრების ნახვასა და გაანალიზებას, სუსტი მხარეების გაუმჯობესებაზე ზრუნვას.	მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას გადავიდნენ ერთი სასწავლო თემიდან მეორეზე საკუთარი ნამუშევრების შეფასებისა და არსებული პრობლემების გამოსწორების გარეშე.
მიღწევების აღიარება	ხშირად გამოფენს მოსწავლეების ნამუშევრებს შეფასების რუბრიკებთან ერთად მათი მოტივირების, პროგრესისა და ძალისხმევის აღიარების მიზნით.	ხშირად გამოფენს მოსწავლეების ნამუშევრებს, რათა თვალსაჩინო გახადოს მათი პროგრესი სტანდარტთან მიმართებით.	გამოფენს უმაღლესი შეფასების მქონე ნამუშევრებს.	იშვიათად ან არასდროს გამოფენს მოსწავლეების ნამუშევრებს.

შუალედური შეფასებები	თანამშრომლობს კოლეგებთან და შუალედური შეფასებებიდან მიღებულ ინფორმაციას დროულად იყენებს სწავლების გაუმჯობესების, განმეორებითი სწავლებისა და აკადემიური სირთულეების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერისთვის.	შუალედური შეფასებებიდან მიღებულ ინფორმაციას დროულად იყენებს სწავლების გაუმჯობესების, განმეორებითი სწავლებისა და აკადემიური სირთულეების მქონე მოსწავლეების საჭიროებებზე რეაგირებისთვის.	ტესტებს უბრუნებს მოსწავლეებს და განიხილავს რამდენიმე პრობლემურ საკითხს.	მოსწავლეებს დაგვიანებით აცნობს ტესტების შედეგებს. სწავლებას განაგრძობს მონაცემთა განალიზებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე რეაგირების გარეშე.
საჭიროებების მხარდაჭერა	თანმიმდევრულად და ინდივიდუალურად მუშაობს აკადემიური სირთულეების მქონე ყველა მოსწავლესთან, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს დამაკმაყოფილებელი შედეგის ჩვენება.	პასუხისმგებლობას იღებს აკადემიური სირთულეების მქონე მოსწავლეებზე და სთავაზობს დამატებით მხარდაჭერას შედეგების გაუმჯობესების მიზნით.	ტესტებში არადამაკმაყოფილებელი შედეგების მქონე მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით სასწავლო დროს და აძლევს ტესტების განმეორებით ჩაბარების შესაძლებლობას.	ტესტებში არადამაკმაყოფილებელი შედეგების მქონე მოსწავლეებს არ აძლევს გაუმჯობესების შესაძლებლობას. აგრძელებს სწავლებას, რათა შეძლოს სასწავლო პროგრამის ყველა საკითხის დაფარვა კლასთან.
შედეგების ანალიზი	კოლეგებთან ერთად აანალიზებს მოსწავლეების შეფასების შედეგებს, გამოაქვს სათანადო დასკვნები, შეიმუშავებს სწავლების გაუმჯობესების მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებსა და სტრატეგიებს.	აანალიზებს შეფასების შედეგებს, გამოაქვს დასკვნები და უზიარებს მოსწავლეებს.	ინიშნავს მოსწავლეების შედეგებსა და ზოგად ტენდენციებს მომავალში გასათვალისწინებლად.	ინიშნავს შეფასებების შედეგებსა და ნიშნებს. ანალიზის გარეშე აგრძელებს სასწავლო პროცესს. შეფასების შედეგებს იყენებს მხოლოდ ნიშნების დაწერის ან წლიური შემაჯამებელი კომენტარის მომზადების მიზნით.
რეფლექსია სწავლებაზე	კოლეგებთან განიხილავს და აანალიზებს ჩატარებული სამუშაოს ეფექტურ და ნაკლებად ეფექტურ მხარეებზე, მუდმივად ზრუნავს სწავლების გაუმჯობესებაზე.	განიხილავს და აანალიზებს ჩატარებული გაკვეთილებისა და სასწავლო თემების ეფექტურობას, ზრუნავს სწავლების გაუმჯობესებაზე.	სასწავლო თემის და/ან სემესტრის დასასრულს აანალიზებს ჩატარებულ სამუშაოს.	წარუმატებელი სწავლების შემთხვევაშიც კი არ აანალიზებს საკუთარ პრაქტიკას და არ ცდილობს მის გაუმჯობესებას.

V. ოჯახთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობა: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას მშობლებსა და საზოგადოებასთან ეფექტური თანამშრომლობით.

	მალიან ეფექტური (4)	ეფექტური (3)	საჭიროებს გაუმჯობესებას (2)	ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს (1)
ოჯახის პატივისცემა	ყოველთვის პატივისცემით ეპყრობა ოჯახებისა და თემის კულტურასა და ღირებულებებს.	პატივისცემით ეპყრობა მშობლებს, ოჯახების განსხვავებულ კულტურასა და ღირებულებებს.	ცდილობს პატივისცემით მოეპყრას მოსწავლეთა ოჯახების კულტურასა და ღირებულებებს, თუმცა ყოველთვის ვერ ახერხებს.	ხშირად იჩენს უპატივცემულობას მისი მოსწავლეების ოჯახების კულტურისა და ღირებულებების მიმართ.
მაღალი მოლოდინები	თითოეულ მშობელს აჩვენებს, რომ იგი კარგად იცნობს მისი შვილის აკადემიურ შესაძლებლობებს და სჯერა მისი მაღალი აკადემიური მიღწევების.	მშობლებს აჩვენებს, რომ იგი დაინტერესებულია მათი შვილების წარმატებით და სჯერა მათი აკადემიური შესაძლებლობების.	მშობლებს აჩვენებს, რომ იგი ზრუნავს მათ შვილებზე და სურს, რომ ყველა იყოს წარმატებული.	მშობლებს არ უზიარებს ინფორმაციას ინდივიდუალური მოსწავლის შესახებ და არ გამოხატავს მათი აკადემიური წარმატებით დაინტერესებას.
მოლოდინების გაცნობა	მშობლებს გარკვევით, მათთვის გასაგებ ენაზე აწვდის ინფორმაციას მათი შვილების სწავლასა და ქცევასთან დაკავშირებული მოლოდინების შესახებ. უზიარებს სანიმუშო ქცევისა და ნამუშევრების მაგალითებს.	მშობლებს გარკვევით აწვდის ინფორმაციას მათი შვილების სწავლასა და ქცევასთან დაკავშირებული მოლოდინების შესახებ.	მოსწავლეებს სახლში ატანს საკლასო ქცევის წესების ჩამონათვალს და საგნის სასწავლო პროგრამას (სილაბუსს).	არ აწვდის მშობლებს ინფორმაციას მოსწავლეების სწავლასა და ქცევასთან დაკავშირებული მოლოდინების შესახებ.
პოზიტიური კომუნიკაცია	მშობლებს, პირველ რიგში, აწვდის პოზიტიურ ინფორმაციას მათი შვილების შესახებ. შემდეგ კი აუცილებლად უზიარებს პრობლემურ საკითხებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	მშობლებს დროულად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეების ქცევასთან ან აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. ასევე უზიარებს სიახლეებს მათ წარმატებებზე.	მშობლებს აწვდის ინფორმაციას მოსწავლეების ქცევასთან ან აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. იშვიათად უზიარებს სიახლეებს მათ წარმატებებზე.	იშვიათად აწვდის მშობლებს პოზიტიურ ან ნეგატიურ ინფორმაციას მოსწავლეების ქცევის ან აკადემიური მოსწრების შესახებ.

ჩართულობის ხელშეწყობა	ხშირად აძლევს მშობლებს სასკოლო სასწავლო პროგრამის მხარდაჭერისა და გამდიდრების შესაძლებლობას.	მშობლებს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროგრამისა და იმ სტრატეგიების შესახებ, რომელთა საშუალებითაც შეძლებენ შვილების დახმარებას სწავლის პროცესში.	მშობლებს პერიოდულად უგზავნის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარონ შვილებს სწავლის პროცესში.	არასდროს ან ძალიან იშვიათად აწვდის მშობლებს რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარონ შვილებს სწავლის პროცესში.
საშინაო დავალებები	მოსწავლეებს აძლევს საინტერესო საშინაო დავალებებს. უზრუნველყოფს საშინაო დავალებების თითქმის 100%-იან შესრულებას. მოსწავლეებს აწვდის დროულ და სასარგებლო უკუკავშირს შესრულებულ დავალებაზე.	მოსწავლეებს აძლევს შესაბამის საშინაო დავალებას, მოსწავლეებს აკისრებს პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე და უბრუნებს უკუკავშირს.	მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას. აღრიცხავს დავალებების შესრულებას. იშვიათად იღებს ზომებს, რათა ყველა მოსწავლემ შეასრულოს დავალება. იშვიათად უბრუნებს მოსწავლეებს უკუკავშირს.	მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას, თუმცა არ აქვს მათი მხრიდან შესრულების მოლოდინი. არ იღებს ზომებს, რათა მოსწავლეებმა შეასრულონ დავალება.
დროული რეაგირება	მშობლების მიერ გამოთქმულ პრობლემურ საკითხებზე რეაგირებს დროულად და ეფექტურად. მშობლების მიმართ არის ყოველთვის კეთილგანწყობილი.	მშობლების მიერ გამოთქმულ პრობლემურ საკითხებზე რეაგირებს სწრაფად. მშობლების მიმართ არის კეთილგანწყობილი.	მშობლების მიერ გამოთქმულ პრობლემურ საკითხებზე რეაგირებს დავიანებით. მშობლების მიმართ არ არის ყოველთვის კეთილგანწყობილი.	არ რეაგირებს მშობლების მიერ გამოთქმულ პრობლემურ საკითხებზე. მშობლების მიმართ არ არის კეთილგანწყობილი.
შედეგების გაცნობა	მშობლებს აწვდის დეტალურ ინფორმაციას მოსწავლეების აკადემიური მოსწრების შესახებ მოსწავლეთა კონფერენციების, ნიშნების ფურცლისა და არაფორმალური შეხვედრების საშუალებით. ასევე უზიარებს სასარგებლო უკუკავშირს მოსწავლის პროგრესის შესახებ.	მოსწავლეთა კონფერენციებისა და ნიშნების ფურცლის საშუალებით მშობლებს აწვდის ინფორმაციას მოსწავლეების პროგრესის შესახებ.	შეხვედრის დროს იყენებს ნიშნების ფურცელს და მშობელს აწვდის ინფორმაციას მოსწავლის იმ მხარეების შესახებ, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას.	მშობლებს უგზავნის ნიშნების ფურცელს. აქვს მოლოდინი, რომ ისინი თავად გამოავლენენ სუსტ მხარეებს და იზრუნებენ მათ გაუმჯობესებაზე.

კომუნიკაციის დამყარება	წარმატებით ახერხებს კომუნიკაციას ყველა მშობელთან. მათ შორის იმ მშობლებთანაც, რომლებთან დაკავშირება რთულია.	ახერხებს კომუნიკაციას ყველა მშობელთან. მათ შორის იმ მშობლებთან, რომლებთან დაკავშირება რთულია.	ცდილობს ყველა მშობელთან კომუნიკაციას. თუმცა წარმატებით ახერხებს თანამშრომლობას მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების მშობლებთან.	საერთოდ არ ცდილობს იშვიათად ცდილობს მშობლებთან კომუნიკაციას.
რესურსების გამოყენება	ეფექტურად იყენებს მშობლების მოხალისეობას, ოჯახისა და თემის სხვა რესურსებს სასწავლო პროცესის გამდიდრების მიზნით.	უკავშირდება ოჯახებსა და თემს მოხალისეებისა და დამატებითი რესურსების მოზიდვის მიზნით.	მშობლებს სთხოვს ითანამშრომლონ მოხალისეებად და დაეხმარონ სკოლას დამატებითი რესურსებით.	არ უკავშირდება ოჯახებს ან თემს მოხალისეებისა და დამატებითი რესურსების მოზიდვის მიზნით.
VI. პროფესიული ქცევა: მასწავლებელი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას ეთიკური, კულტურულად გათვითცნობიერებული, პროფესიული და თანამშრომლობითი პრაქტიკით.				
	ძალიან ეფექტური (4)	ეფექტური (3)	საჭიროებს გაუმჯობესებას (2)	ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს (1)
გაკვეთილებზე დასწრება	არასდროს ან თითქმის არასდროს აცდენს გაკვეთილებს /სამსახურს (98-100%-იანი დასწრება).	აქვს ძალიან კარგი დასწრება (95-97%-იანი დასწრება).	რეგულარულად ატარებს გაკვეთილებს (90-96 %-იანი დასწრება).	ხშირად აცდენს გაკვეთილებს / სამსახურს (დასწრება - 89 % ან ნაკლები).
ზეპირი და წერითი კომუნიკაცია	პროფესიულ გარემოში საუბრობს და წერს სწორად, გამართულად და ლაკონურად.	პროფესიულ გარემოში საუბრობს და წერს გრამატიკულად და ლექსიკურად გამართულად.	პროფესიულ გარემოში პერიოდულად უშვებს შეცდომებს წერასა და საუბარში.	ხშირად უშვებს პროფესიულ შეცდომებს წერასა და საუბარში.
პუნქტუალობა და სიზუსტე	ყოველთვის პუნქტუალურად, ხარისხიანად და უშეცდომოდ ასრულებს პროფესიულ დავალებებს. ზუსტად და უშეცდომოდ აღრიცხავს ინფორმაციას.	დროულად და ხარისხიანად ასრულებს პროფესიულ დავალებებს, სიზუსტით აღრიცხავს ინფორმაციას.	ხანდახან არ ასრულებს ან დაგვიანებით ასრულებს პროფესიულ დავალებებს, უშვებს შეცდომებს შესრულებულ სამუშაოში.	ხშირად არ ასრულებს, ან დაგვიანებით ასრულებს პროფესიულ დავალებებს, უშვებს შეცდომებს შესრულებულ სამუშაოში.

კეთილსინდისიერება	არის ყოველთვის ეთიკური, კეთილსინდისიერი და გულახდილი, მსჯელობს უშეცდომოდ და იცავს ინფორმაციის კონფიდენციალობას.	არის ეთიკური და გულახდილი, მსჯელობს გონივრულად და იცავს მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობას.	პერიოდულად იყენებს მცდარ მსჯელობას, არ არის სრულად კეთილსინდისიერი, არღვევს მოწავლეთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობას.	ხშირად იქცევა არაეთიკურად, არაკეთილსინდისიერად იყენებს არასწორ მსჯელობას და არ იცავს მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობას.
გუნდის წევრობა	არის მასწავლებელთა ჯგუფებისა და კომიტეტების მნიშვნელოვანი წევრი. ხშირად გამოთქვამს სურვილს იყოს მოხალისე და შეასრულოს დამატებითი სამუშაო.	იზიარებს პასუხისმგებლობას სასკოლო აქტივობებზე და მონაწილეობას იღებს დამატებითი სამუშაოების შესრულებაში.	თხოვნის შემთხვევაში მონაწილეობს შეხვედრებში ან დამატებითი სამუშაოების შესრულებაში.	უარს ამბობს შეხვედრებში ან დამატებითი სამუშაოების შესრულებაში მონაწილეობაზე.
ლიდერობა	ხშირად გამოთქვამს ღირებულ პროფესიულ მოსაზრებებს. კოლეგებს შთააგონებს იზრუნონ მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებაზე.	არის სკოლის გუნდის პოზიტიური წევრი. კოლეგებს სთავაზობს საინტერესო იდეებსა და მოსაზრებებს.	პერიოდულად გამოთქვამს მოსაზრებებს სკოლაში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ.	იშვიათად ან არასდროს გამოთქვამს მოსაზრებებს სკოლაში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ.
ღიაობა რეკომენდაციებისადმი	სიამოვნებით იღებს უკუკავშირის და რეკომენდაციებს მოსწავლეებისგან, მშობლებისა და კოლეგებისგან და იყენებს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.	ყურადღებით ისმენს სხვების მოსაზრებებს და კონსტრუქციულად რეაგირებს რეკომენდაციებსა და კრიტიკაზე.	არ ისმენს სხვების რეკომენდაციებსა და მოსაზრებებს, იყენებს თავდაცვით სტრატეგიებს.	არ იღებს კრიტიკას და წინააღმდეგობას უწევს რეკომენდაციებს საკლასო ოთახში ცვლილებების განხორციელების შესახებ.
კოლეგებთან თანამშრომლობა	კოლეგებს ხვდება მინიმუმ კვირაში ერთხელ დაგეგმვის, იდეების გაზიარებისა და მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების მიზნით.	თანამშრომლობს კოლეგებთან დაგეგმვის, იდეების გაზიარებისა და მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების მიზნით.	პერიოდულად ხვდება კოლეგებს მოსწავლეებისა და სწავლების შესახებ იდეების გაზიარების მიზნით.	იშვიათად ხვდება კოლეგებს. მისი კოლეგებთან საუბარი არ შეეხება პროფესიულ და საგანმანათლებლო საკითხებს.

პროფესიული ზრდა	მუდმივად მოიძიებს და იყენებს პროფესიული განვითარების ახალ შესაძლებლობებს როგორც საკუთარი, ასევე კოლეგების სწავლების გაუმჯობესების მიზნით.	სხვადასხვა წყაროდან მოიძიებს და იყენებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.	იშვიათად გამოთქვამს მზაობას პროფესიული ზრდისა და საკლასო ოთახში სიახლეების მოსინჯვისთვის.	არ არის ღია სწავლისა და სწავლების გაუმჯობესებისთვის საჭირო სიახლეებისადმი.
-----------------	---	---	---	--

წყარო: Marshall, K. (2014). Teacher Evaluation Rubrics. Retrieved from <http://usny.nysed.gov/rttt/teachers-leaders/practicerubrics/Docs/marshall-teacher-rubric-jan-2014.pdf>

დანართი 2. მასწავლებლის რეფლექსიის კითხვარი

მიმართულება 1. ორგანიზება, წესები და პროცედურები	
<p>1.1. ხელს უწყობს თუ არა თქვენ მიერ ორგანიზებული საკლასო სივრცე (მაგიდებისა და სკამების განლაგება, თვალსაჩინოებები, ტექნოლოგიები და სხვა) უსაფრთხოებას, სწავლისათვის სათანადო გარემოს, დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევასა და აქტივობების შეუფერხებლად წარმართვას?</p> <p>1.2. გაქვთ თუ არა შემუშავებული საკლასო წესები და პროცედურები? აცნობთ თუ არა ამ წესებსა და პროცედურებს მოსწავლეებს და უზრუნველყოფთ თუ არა მათ დაცვას?</p> <p>1.3. აძლევთ თუ არა მოსწავლეებს მკაფიო მითითებებს ამა თუ იმ დავალების შესრულების შესახებ (მაგ.: ვერბალური, ვიზუალური, ფიზიკური დემონსტრირება)? ამოწმებთ თუ არა რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა თქვენ მიერ მიცემული დავალება?</p> <p>1.4. გაქვთ თუ არა შემუშავებული მოსწავლეთა დისციპლინისა და ქცევის მართვის სისტემა წახალისებისა და დასჯის მექანიზმებით?</p> <p>1.5. ახერხებთ თუ არა გაკვეთილის დროს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას (მასალების დარიგება, მოსწავლეების აღრიცხვა და სხვა) მინიმალური დროის გამოყენებით?</p>	<p>მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ერთმანეთის მიმართ გამოხატავენ პატივისცემას; • აქვთ წვდომა სწავლისთვის აუცილებელ რესურსებთან; • იცავენ საკლასო წესებსა და პროცედურებს; • ეფექტურად იყენებენ დროს; • იციან რა უნდა გააკეთონ; • პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარი სწავლის პროცესზე; • საჭიროებისამებრ იყენებენ კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიებს.
მიმართულება 2. პოზიტიური ურთიერთობები	
<p>2.1. აჩვენებთ თუ არა მოსწავლეებს, რომ თქვენ ზრუნავთ მათზე და მათ სწავლაზე?</p> <p>2.2. იცნობთ თქვენი მოსწავლეების ინტერესებს, მისწრაფებებსა და საჭიროებებს და ითვალისწინებთ თუ არა მათ სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს?</p> <p>2.3. ახდენთ თუ არა სწავლების დიფერენცირებას ისე, რომ სხვადასხვა ინტერესისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებმა შეძლონ წარმატების მიღწევა?</p> <p>2.4. ატარებთ თუ არა ისეთ საკლასო აქტივობებს, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომლობას, დისკუსიასა და მოსწავლეების ინტერაქციას?</p> <p>2.5. გაქვთ თუ არა სათანადო სიხშირის კომუნიკაცია მოსწავლეებსა და მათ ოჯახებთან?</p>	<p>მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პატივს სცემენ ერთმანეთს და მასწავლებელს; • თანამშრომლობენ ერთმანეთთან; • მონაწილეობენ საკლასო აქტივობებსა და ჯგუფურ მუშაობაში; • აქვთ გუნდურობისა და ერთიანობის განცდა; • არიან ემპათიურები; • ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გრძნობებსა და განცდებს; • გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს.
მიმართულება 3. ჩართულობა და მონაწილეობა	
<p>3.1. აძლევთ თუ არა მოსწავლეებს სხვადასხვა სახის აზროვნების (პრაქტიკული, ანალიტიკური, შემოქმედებითი და ა.შ.) შესაძლებლობას?</p> <p>3.2. იყენებთ თუ არა მოსწავლეების სწავლისადმი ინტერესის ამაღლების მიზნით მოტივაციის სტრატეგიებს (წინააღმდეგობა, არჩევანი, კონკურენცია და ა.შ.)?</p> <p>3.3. იყენებთ თუ არა სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და ინსტრუმენტებს მოსწავლეების ინტერესისა და ჩართულობის შენარჩუნების მიზნით?</p> <p>3.4. აძლევთ თუ არა მოსწავლეებს შესაძლებლობას იმოქმედონ საკუთარი ინტერესების მიხედვით, გააკეთონ არჩევანი,</p>	<p>მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ენერგიულად და ენთუზიანით არიან ჩართული სწავლის პროცესში; • აქვთ მცდელობები ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად; • სიამოვნებას იღებენ საკლასო ოთახში ყოფნით; • გამოხატავენ საკუთარ ინტერესებს, იდეებსა და

<p>გამოხატონ საკუთარი მიზნები, ღირებულებები და ოცნებები?</p> <p>3.5. ქმნით თუ არა ისეთ საკლასო გარემოს, სადაც არის სიურპრიზებისა და კმაყოფილების შესაძლებლობა (ენტუზიაზმის, იუმორის, სიახლეების საშუალებით)?</p>	<p>შეხედულებებს;</p> <ul style="list-style-type: none"> • არიან მოტივირებულები და დავალებების შესრულებაზე ორიენტირებულები; • მაქსიმალურად იყენებენ საკუთარ შესაძლებლობებს სხვადასხვა სახის აზროვნებისთვის.
<p>მიმართულება 4. აზროვნებისა და სწავლის კულტურა</p>	
<p>4.1. უკეთებთ თუ არა მოსწავლეებს გამოწვევას სათანადო სირთულის შინაარსის სწავლებით? ასწავლით თუ არა, როგორ დაძლიონ ეს გამოწვევები?</p> <p>4.2. აძლევთ თუ არა მოსწავლეებს მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილ დავალებებს?</p> <p>4.3. ახალისებთ თუ არა მოსწავლეებს დაასაბუთონ საკუთარი იდეები და მოსაზრებები?</p> <p>4.4. იყენებთ თუ არა შეკითხვების დასმის სტრატეგიებს მოსწავლეთა პასუხების დაზუსტებისა და განვრცობის მიზნით?</p> <p>4.5. ახალისებთ თუ არა დისკუსიას, დიალოგსა და დებატებს მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო?</p> <p>4.6. იყენებთ თუ არა ტექნოლოგიებს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობისა და პრობლემების მოგვარების მიზნით?</p> <p>4.7. ასწავლით თუ არა მოსწავლეებს მრავალმხრივი და მაღალი დონის აზროვნებისა და სწავლისთვის საჭირო სტრატეგიების გამოყენებას?</p>	<p>მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • იყენებენ კრიტიკული აზროვნების სხვადასხვა ფორმას; • არიან ცნობისმოყვარეები; • იყენებენ სწავლისა და აზროვნების სხვადასხვა სტრატეგიას; • ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს; • სვამენ კარგად გააზრებულ შეკითხვებს; • გამოწვევას უკეთებენ საკუთარ თავს; • მიზნობრივად იყენებენ ტექნოლოგიებს; • იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას პრობლემების მოგვარების მიზნით.
<p>მიმართულება 5. მოსწავლეების მომზადება ახალი საკითხების შესწავლისთვის</p>	
<p>5.1. გეგმავთ თუ არა სასწავლო პროცესს თქვენი მოსწავლეებისა და კლასის შესაბამისი სტანდარტების მიხედვით?</p> <p>5.2. ახერხებთ თუ არა სტანდარტების ჩამოყალიბებას მკაფიო სასწავლო მიზნების ფორმით?</p> <p>5.3. იწყებთ თუ არა გაკვეთილს მაპროვოცირებელი და ინტერესის აღმძვრელი შეკითხვებით, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ახალი საკითხი დაუკავშირონ წინარე ცოდნას?</p> <p>5.4. ითვალისწინებთ თუ არა მოსწავლეების წინარე ცოდნას, უნარებსა და ინტერესებს სასწავლო მიზნების შემუშავების დროს?</p> <p>5.5. აცნობთ თუ არა მოსწავლეებს წინასწარ იმ მნიშვნელოვან ცნებებსა და ტერმინოლოგიას, რომლებიც საჭიროა სასწავლო საკითხის სრულფასოვნად გაგებისთვის?</p> <p>5.6. აწვდით თუ არა მოსწავლეებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ხარისხიანი ნამუშევარი (შეფასების რუბრიკების, ხარისხიანი ნამუშევრის ნიმუში და სხვა)?</p> <p>5.7. უბიძგებთ თუ არა მოსწავლეებს დაისახონ საკუთარი სწავლის მიზნები და მათი მიღწევის გეგმა?</p>	<p>მოსწავლეებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ესმით და საკუთარი სიტყვებით აყალიბებენ სასწავლო მიზნებს. • სვამენ შეკითხვებს სასწავლო მიზნების შესახებ; • იციან, რისი გაკეთება უნდა შეძლონ და როგორ მოახდინონ საკუთარი ცოდნისა და უნარების დემონსტრირება; • იციან და იყენებენ საკითხის შესაბამის ტერმინოლოგიას; • იხსენებენ წინარე გამოცდილებას, რომელიც უკავშირდება ახალ სასწავლო საკითხს; • შეიმუშავებენ/სვამენ შეკითხვებს სასწავლო საკითხის შინაარსისა და სასწავლო მიზნების შესახებ; • შემუშავებული აქვთ და ახორციელებენ სასწავლო მიზნის მისაღწევ გეგმას.

მიმართულება 6. ახალი საკითხის სწავლება	
<p>6.1. გეგმავთ თუ არა გაკვეთილებსა და სასწავლო თემებს ისე, რომ შესაძლებელი იყოს საკითხის მაქსიმალურად ეფექტურად სწავლება?</p> <p>6.2. იყენებთ თუ არა მრავალფეროვან ინფორმაციას საკითხის სწავლების დროს?</p> <p>6.3. სწავლების დროს იყენებთ თუ არა მაღალი დონის კომუნიკაციის უნარებს (მაგ.: ექსპრესიულ მეტყველებას, მდიდარ ლექსიკას და სხვა)?</p> <p>6.4. იყენებთ თუ არა პრეზენტაციის სხვადასხვა ტექნიკებს (ვიზუალური, დრამა, მოთხრობები და სხვა), რათა გაკვეთილი გახდეს უფრო ადვილად აღსაქმელი, საინტერესო და დასამახსოვრებელი მოსწავლეებისთვის?</p> <p>6.5. იყენებთ თუ არა მოდელირებისა და ხმამაღლა ფიქრის სტრატეგიებს, რათა დაეხმარათ მოსწავლეებს აზროვნების უნარებისა და პროცესების უკეთ გააზრებაში?</p> <p>6.6. იყენებთ თუ არა განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა სტრატეგიას მოსწავლეების მიერ საკითხის გაგება-გააზრების შემოწმების მიზნით (მინიშნება, გამოკითხვა, „დიახ/არა“ პასუხის ბარათები, „ოთხი კუთხე“ და ა.შ.)?</p> <p>6.7. იყენებთ თუ არა სკოლის გარეთ არსებულ რესურსებს (ექსკურსიები, მოწვეული სტუმრები და სხვა), რათა სწავლის პროცესი იყოს უფრო ავთენტური?</p> <p>6.8. ეხმარებით თუ არა მოსწავლეებს მთავარი საკითხებისა და მისი შემადგენელი დეტალების გააზრებაში სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით (ჩანაწერების გაკეთება, შეჯამება, გრაფიკული სქემები და სხვა).</p>	<p>მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქტიურად ამუშავებენ ახალი საკითხის შინაარსს (სვამენ შეკითხვებს, ინიშნავენ ინფორმაციას და ა.შ.); • ამოიცნობენ მთავარ იდეას და მნიშვნელოვან დეტალებს; • საუბრობენ საკუთარი სწავლის პროცესის შესახებ; • შეუძლიათ შეაჯამონ შესწავლილი საკითხი; • შეუძლიათ მიღებული ცოდნა დაუკავშირონ ყოველდღიურ ცხოვრებას.
მიმართულება 7. სწავლის გაღრმავება	
<p>7.1. გამოყოფთ თუ არა სწავლის პროცესში მნიშვნელოვან ეტაპებს, განსაზღვრავთ თუ არა თითოეულ ეტაპზე მისაღწევ შედეგებს და იყენებთ თუ არა სხვადასხვა სახის განმავითარებელ შეფასებას, რათა დაეხმარათ მოსწავლეებს თითოეულ ეტაპზე საკუთარი პროგრესის შეფასებაში?</p> <p>7.2. აძლევთ თუ არა მოსწავლეებს შინაარსზე დაფუძნებულ წერით დავალებებს, რათა შეძლონ საკუთარ ცოდნაზე რეფლექსია და მისი შემდგომი გაღრმავება?</p> <p>7.3. აძლევთ თუ არა მოსწავლეებს მკაფიო და აღწერით უკუკავშირს, რათა შეძლონ საკუთარი ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და გაღრმავება?</p> <p>7.4. იყენებთ თუ არა ჰეტეროგენულ და ჰომოგენურ დაჯგუფებებს მოსწავლეთა სწავლის გაუმჯობესების მიზნით (მოსწავლეების დაჯგუფება შესაძლებლობების, ინტერესების, სწავლის სტილის მიხედვით და ა.შ.)?</p> <p>7.5. სასწავლო პროცესში იყენებთ თუ არა სხვადასხვა რესურსს ვარჯიშისა და სწავლის გაუმჯობესების მიზნით (მანიპულატივები, მოდელები, სასწავლო ცენტრები და სხვა)?</p> <p>7.6. აძლევთ თუ არა მოსწავლეებს ახალმიღებული ცოდნის დამუშავების შესაძლებლობას დისკუსიისა და კრიტიკული აზროვნების აქტივობებით?</p> <p>7.7. აძლევთ თუ არა მოსწავლეებს მიზნობრივ და სათანადო საშინაო დავალებას გავარჯიშებისა და სწავლის განმტკიცებისთვის?</p>	<p>მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლიათ განასახვან, რა იციან, რა არ იციან და რისი შესწავლის საჭიროება აქვთ; • ვარჯიშობენ; • იყენებენ წერისა და აზროვნების სტრატეგიებს; • ახდენენ მცდელობის დემონსტრირებას; • ეხმარებიან ერთმანეთს სწავლის პროცესში; • იყენებენ მიღებულ უკუკავშირს საკუთარი მიღწევების შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად; • აზროვნებენ კრიტიკულად - განიხილავენ იდეებს, ახდენენ მათ სინთეზს, იძლევიან განმარტებებს, აყალიბებენ ჰიპოთეზებს.

მიმართულება 8. სწავლის პრაქტიკული გამოყენება

- 8.1. შეესაბამება თუ არა თქვენი შემაჯამებელი შეფასებები სასწავლო მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს?
- 8.2. მოითხოვს თუ არა მოსწავლეებისგან თქვენ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები ცოდნის ტრანსფერს სხვადასხვა მიმართულებით?
- 8.3. რთავთ თუ არა მოსწავლეებს სხვადასხვა სახის კვლევით აქტივობებში, რომლებიც იწვევს მათ ინტერესს და ასევე უკავშირდება რეალურ სიტუაციებს?
- 8.4. ახალისებთ თუ არა მოსწავლეებს წარმოადგინონ საკუთარი მიგნებები და დაიცვან საკუთარი მოსაზრებები?
- 8.5. ეხმარებით თუ არა მოსწავლეებს დაგეგმვის, აზროვნებისა და თვითშეფასების უნარების განვითარებაში, რათა მათ შეძლონ მიცემული დავალების მოთხოვნების გაანალიზება და შესრულება?
- 8.6. ეხმარებით თუ არა მოსწავლეებს გაიაზრონ, რა მოლოდინები გაქვთ მათ მიმართ და სთავაზობთ თუ არა ეფექტურ და კონსტრუქციულ უკუკავშირს?
- 8.7. ახდენთ თუ არა შეფასების დავალებების დიფერენცირებას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი შესაძლებლობები აჩვენონ სხვადასხვა მიმართულებით?

მოსწავლეები:

- გეგმავენ საკუთარი სწავლის პროცესს;
